



საქართველოს არტ-ბაზრის ანალიზი

ელენე ჩაჩუა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კულტურის მენეჯერის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სახელოვნებო თეორიისა და პრაქტიკის კვლევები და კულტურის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: იური მღებრიშვილი, სახელოვნებო მეცნიერებათა
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014 წელი

აბსტრაქტი

საქართველოს არტ-ბაზარი დაახლოებით 20 წელია რაც არსებობს, მაგრამ ძნელია ვისუბროთ მის განვითარებასა და მსოფლიო ასპარეზზე გასვლაზე.

კვლევა ჩატარდა იმის დასადგენად, თუ რა ვითარებაა დღეს საქართველოს არტ-ბაზარზე და რა კეთდება სახვითი ხელოვნების განვითარებისთვის.

კვლევა ასევე ითვალისწინებდა იმის გარკვევას, თუ რა ყურადღება ექცევა ახალგაზრდა მხატვრებს, რა კეთდება მათი პოპულარიზაციისთვის.

კვლევა ჩატარდა ორი მიმართულებით:

- თბილისის გალერეების მუშაობის კვლევა და ანალიზი
- გალერიის დამთვალიერებლების კვლევა და ანალიზი

შემუშავდა სპეციალური კითხვარი, რომლის საშუალებითაც შევისწავლეთ საგალერეო ბაზარზე არსებული სიტუაცია. დავადგინეთ თბილისში არსებული გალერეების უარყოფითი და დადებით მხარეები. გავარკვიეთ რა დამაბრკოლებელი ფაქტორები უშლის ხელს საგალერეო საქმიანობის განვითარებას საქართველოში.

ძირითადად გამოიკითხა თბილისის წამყვანი გალერეები და 30-მდე დამთვალიერებელი.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- გალერეებს არ აქვთ ჩამოყალიბებული მისია, მიზანი, ხედვა;
- პროფესიონალი კადრების არ არსებობა;
- მოუხერხებელი საკანონმდებლო სისტემა;
- ინფორმაციული არხების არაეფექტური გამოყენება;
- ახალგაზრდა მხატვრების ხელშეწყობის არ არსებობა, როგორც გალერეების ასევე სახელმწიფოს მხრიდან;

ეს შედეგები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ამ პრობლემების აღმოფხვრის შემდეგ შეიძლება საქართველოში არტ-ბაზრის განვითარება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საქართველოს არტ-ბაზარი, საგაღერო სისტემა საქართველოში, არტ-ბაზარი მსოფლიოში, აუქციონის სახლები, თანამედროვე არტ ბაზარი